**პრესრელიზი**

25 თებერვალს, 15:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გაიხსნება ოკუპაციის კვირეული. საზოგადოებას საშუალება ექნება ესტუმროს გამოფენას „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - პერსონები საარქივო დოკუმენტებიდან“, რომელიც მომზადებულია ცენტრის კოლექციებში დაცული უნიკალური არქივების საფუძველზე.

ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები, ემიგრანტული პრესა, მემორიალური ნივთები და აუდიომასალა შერჩეულია ერთი ნიშნით: ექსპონატები ასახავს საქართველოს მთავრობის წევრებთან დაკავშირებულ მიმოწერას, ოფიციალურ დოკუმენტებს, ბიოგრაფიულ ცნობებსა თუ მათ პირად ნივთებს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება: მთავრობის ხელმძღვანელის, ნოე ჟორდანიას ავტოგრაფები და მასთან დაკავშირებული წერილები, ლევილის არქივი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის, რაჟდენ არსენიძის აუდიოჩანაწერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლოები: დროშა, გერბი, ფულის ერთეულები და მარკები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს საგანმანათლებლო აქტივობების პოპულარიზაციაშიც; ოკუპაციის კვირეულის ფარგლებშიც ცენტრი VII-IX და IX-XII კლასების მოსწავლეთათვის დაგეგმილია საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ, ჯგუფური აქტივობა „მე ვიკვლევ“ და ისტორიული ნარკვევების კონკურსი. კონკურსი განკუთვნილია იმ ასაკობრივი ჯგუფისათვის, რომელთაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, უკვე ნასწავლი აქვთ საქართველოს ისტორია 1918-1921 წლებში. საუკეთესო სამი ნაშრომის ავტორთა ჯგუფს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მოიწვევს 26 მაისის ფარგლებში დაგეგმილ სადისკუსიო შეხვედრაზე.

#

**საკონტაქტო ინფორმაცია**

*მარიამ ჯაბიძე*, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

*მარია წერეთელი*, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge